



კვირა, 13 აპრილი ფასი 10 კ. № 6.—1914 წ.





კონსტანტინე ბალმონტი

საქართველოში მისი სტუმრობის და ლექციების გამო



ია ეკალაძე—თომაანთ კობა

მისი 20 წლის სამწერლო მოღვაწეობის გამო

№ 6

## შინაარსი:


1. კანონმდებელი ყრილობა, მეთაური 1
2. თეატრი და ცხოვრება, მ. წულუკიძისა. 2
3. ჩვენი თეატრის არქივი, კონსტან-ანდრონისა 3
4. ისმენდა სული... ელტოდა სული, კიკნა-ფშაველისა. 3
5. „რათ ალსდევი ნაზარეველო, რათ?!“, დია ჩიანელისა. 4
6. მექანდაკე, შ. ხონელისა 4
7. სამშობლო ქვეყნის მოღვაწენი—დ. ი. ყიფიანი, ი—ისა 5
8. *** (ესკიზი) სევდიასი 6
9. ბედკრულთ მომღერალი, იოსებ არიმათიელისა 7
10. სალამი, იოსებ იმედაშვილისა 8
11. მე, მე ასე მსურს... (ლექსი ბალმონტიდან), ბ. ახოსპირელისა 8
12. ი. გედევანიშვილის ახალი პიესა „სინათლე“-ს მეორე ნაწილი (მოკლე შინაარსი) 9
13. სახელგანთქმული მოცეკვავის ელენე ჩერქეზიშვილის წერილებიდან 10
14. იცი, ოლოლ!, ი. გრიშაშვილისა 12
15. არონ შეენც?!, ს. ერთაწმინდელისა 12
16. ზღვის ტალღებზე, ქნარისა 13
17. სურათი, გ. ლეონიძისა 13
18. გალაღებული და თავხედი მსახიობ-მომღერალი, მეთვალყურისა 14
19. ქართველ მწერალთა წერილები, სოფ. მგალობლიშვილისა 14
20. წვრილი ამბები. 16


---


## განცხადებანი

### ქართული თეატრი

ქართულ დრამატ. საზოგად. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

**კვირას, 13 აპრილს, 1914 წ.**

### ვიდრე ხვალ

დრ. 5 მოქ. და 6 სურ. სენკევიჩის რომანიდან გადმოკეთებული სობოლნიკოვ-სამარინის მიერ, თარგ. ა. წერეთლისა

**მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი**

**დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზედ**

ფასი ჩვეულებრივია ✦ რეჟ. **ვ. შალიკაშვილი**

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში

ადმინისტრაცია **ქართ. დრმ. საზ-სა.**

**ორშაბათს, 14 აპრილს, 1914 წ.**

**გაიმართება დიდი საკონცერტო**

### საღამო

**წარმოდგენით**

**ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწინეს**

მხიარული კომ. 2 მოქ. რ. ერისთავისა

**მონაწ. მიიღებენ:** ქ-ნი ელ. ჩერქეზიშვილი, მ. ვიქტ.-რელი, ბ ნნი ვ. აბაშიძე, პ. ფრანგიშვილი თუხარელი და თარალაშვილი

რეჟისორი **ვ. აბაშიძე**

**საკონცერტო განყოფილება**

ბ-ნნი **ენრიკო ბროჯის, გ. სიხარულიძის,** ქ-ნი ხალავიოვის, პალცევას, გოფმანის და მინასოვის მონაწილეობით.

ადმინისტრ. **პ. კანდინოვი**

ფასი ჩვეულებრივია. ✦ **დასაწყ-სი ს. $8^1/_2$ ს.**




№ 6

წლიურად **5** მ., ნახევარ წლით **3** მ., ცალკე ნომერი **10** კ. ხელის მოწერა მიიღება დრ. საზ. კანტორაში და იოსებ იმედაშვილთან („**სორაპანი**“-ს სტამბაში). მისამართი:

**Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“**
**Іос. Имедашвили.**

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება შუადღის 10—2 ს. და. საღ. 6—7 ს. ტელეფონი № 15-41.

**№ 6** | **კვირა, 13 აპრილი** | **1914 წ.**

## 13 აპრილი.

**კანონმდებელი ყრილობა.**

ჩვენის თეატრის ცხოვრების ახალი ხანა იწყება, ხანა მრავალ-იმედიანი: დაგვებადა ეროვნული დრამატურგია, რომელიც იმავე დროს სხვა ერთა სცენებზედაც საპატიო ადგილს დაიკავებს, სათეატრო საქმეს საქართველოში მკვიდრი საძირკველი ეყრება, დღეს არა ხვალ ქართული სცენის მოღვაწენი ურთიერთს პირისპირ წარუდგებიან და ერთმანეთს გაუზიარებენ თავის გულისნადებს სასცენო საქმეთა უკედ მოსაწყობად და სხ...

ქართულმა სახიობამა და თეატრმა თვისი განვითარების პირველი ნაბიჯები უკვე გაიარა და ახლა უნდა გადასდგას გაბედული ნაბიჯი დამოუკიდებელ ეროვნულ შემოქმედებისაკენ...

ჩვენ ვუყურებთ თითქო ქართული ენით მოსაუბრე ქართველ მსახიობს, მაგრამ მასში ნამდვილი ქართული, ბუნებრიობა, მშობლიური იერი, თავისი ხალხის დამახასიათებელი გამოთქმა, კილო, ღიმილი, მიხვრ-მოხვრა უმეტეს შემთხვევაში არ სჩანს,—თითქოს ყოველივეს უცხოური ბეჭედი აზის, ანარეკლია წამბაძველობისაო..

აკი ამიტომაც, ვინც მხოლოდ პირდაპირ მშობლიურ ნიადაგზე აღმოცენდა, სამშობლო კერას იქით არსად იყო, თვისის ბუნებრიობით, მშობლიური შემოქმედობით გვაფრთოვანებდა, საამოდ გვიღიტინებდა... ჩვენ, რასაკვირველია, იმის თქმა არ გვინდა, ქართველმა მსახიობმა უცხოეთი და უცხოეთის მსახიობნი არ გაიცნოს, მაგრამ უმთავრესი ყურადღება იმ ხალხის ფსიხოლოგიის შესწავლას, ზნე ჩვეულებათა მტკიცედ გათვალისწინებას უნდა მიაქციოს, რომლის წარმომადგენელთა განსახიერებასაც კისრულობს...

ძველი დროიდან ჩვენს სცენას პროფესიონალური არტისტი არ ახსოვს მცირე გამონაკლისს გარდა. ეს იყო მიზეზი, რომ საზოგადოება მაინც და მაინც სასტიკად არ ეკიდებოდა ქართველ მსახიობს; თუ შესცდებოდა რამე, ანუ თვისს ადგილას არ იყო მსახიობი, სულგრძელობით მიუტევებდა—რა ჰქმნან, მარტო სცენას რო შეაჩერდნენ, ხომ სიმშილით დაიხოცნენ, რასაც იძლევიან—მაგისიც მადლობელი უნდა ვიყოთო... ასე იყო ძველად, მაგრამ ახლა მდგომარეობა შეიცვალა, გაჩნდა პროფესიონალური ქართველი არტისტი; წინად თუ მხოლოდ ერთი ანუ ორი მოიპოებოდა ასეთი, ახლა უკვე ათობით ჩამოითვლება ხელობით მსახიობი, რომელიც მხოლოდ მშობელ სცენას შეჰყურებს და მის იქით გასაქანი არა აქვს..

საზოგადოებამაც აზრი შეიცვალ. ქართველი მსახიობის თამაშს გულკეთილობით, ქველმოქმედობით კი არ ესწრობა, არამედ თვის სულიერი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ქართულ თეატრში მიდის იმიტომ, რომ ნახოს ყოველმხრივ მაღლამდგომი ჭეშმარიტი არტისტი, ამა თუ იმ ხატების უტყუარი გამსახიერებელი... და როდესაც ქართველი მსახიობი თავის პირდაპირ მოვალეობას ჰღალატობს, მაყურებელს ისლა დაშთენია საიდუმლო გულისწყრომა გამოუცხადოს მსახიობს და შემდეგში თავისი ყურადღებაც მოაკლოს...

განა შესაწყნარებელია, რომ ქართველი მსახიობი, ეს ქართული წმიდათა-წმიდის ქურუმი მშობლიურ ენამეტყველობაში კოჭლობდეს, ენას ქაჯურად ამახინჯებდეს ან ხშირად ისეთ სიტყვას წამოისროდეს ხოლმე, რომლის მნიშ-

ვნელობა თვითონაც არ ესმოდეს?!

განა შესაწყნარებელია, რომ ქართველი მსახიობი მხოლოდ ბახუსის მონად. მარად როლის არ მცოდნედ, ენა-მბორძიკედ, შეუგნებლობის გამომხატველად, ბაბილონურ ენით მოლაპარაკედ იყოს დასახული...

განა შესაწყნარებელია, რომ მრავალი ვიგინდარა „არტისტობას" ჩემულობდეს და ხალხს თეატრს არა თუ აყვარებდეს თვის მაღალსაზნეო დანიშნულებისათვის, არამედ აზიზღებდეს კიდეც?!.

წინადაც არა ერთგზის გვითქვამს, რომ თუმცა სცენის მოყვარეთა წრეების გამრავლება ერთის მხრით ფრიად სასიხარულოა, მეორეს მხრით — თუ ეს სცენის მოყვარენი სასურველ დონეზე არა იდგებიან, სწორედ სავალალოა მათი სიმრავლე...

სახელი და პატივი იმ სცენის მოყვარემოღვაწეთ, რომელთაც ხალხის გასათვითცნობიერებლად უანგაროდ შესდგეს სცენაზე ფეხი და ყოველთვის შეგნებით ემსახურებოდენ ხალხის კულტურულად დამაწინაურებელ ტაძარს, მაგრამ რამდენია ისეთი, რომელსაც სცენაზე გამოსვლა მხოლოდ იმიტომ უნდა – ან საკუთარ ჯიბეს ჩაახაროს, ან მხოლოდ თვის „არტისტობა", თავისი მე გამოაჩინოს, თუნდაც ხელოვნება მეწყერმა ზიდოს...

დღეს ჩვენის სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში უკვე სდგება დრამ. საზოგადოებანი, სცენის მოყვარეთა ჯგუფები, აშენებენ სასცენო დარბაზებს და სხ. ყოველივე ეს ნათლად გვიჩვენებს, რომ სათეატრო საქმე ჩვენში წინ მიდის, გარნა ყველა მათგანი თუ ცალ-ცალკე იმოქმედებს, ნებსით თუ უნებლიედ არა-ღირსეულ „სცენის მუშაკთ" შეუყრის თავს, რასაკვირველია, არც ასეთი გამრავლება მოგვიტანს სიკეთეს...

საჭირო იყო საქართველოს სცენის მოღვაწეთა მესვეურობა-მეთვალყურეობა თბილ. ქართ. დრამ. საზ-ას ეკისრნა, როგორც უხუცესს, მაგრამ, როგორც სჩანს, ეს მუდამ მოსახერხებელი არ არის... ისტორიამ გვიკარნახა, ვინ უნდა იყოს ქართველ სცენის მუშაკთა მოღვაწეობის გამაერთიანებელი და ერთი გზის მაჩვენებელი...

ქართულ სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობა, რომელსაც, თქმა არ უნდა, ჩვენის ქვეყნის სხვადასხვა კუთხის სცენის მოღვაწეთა წარმომადგენელნი დაესწრებიან, უნდა გარდიქცეს კანონმდებელ ყრილობად, შეიმუშავოს ქართულ სცენის მოღვაწეთათვის სავალდებულო დადგენილებანი და მთელის საქართველოს სათეატრო მოღვაწეთ ერთი გეგმა მისცეს...

ამას უკარნახებს ისტორია და ჩვენი თეატრის ბედ-იღბალი!..

## თეატრი და ცხოვრება

—

თეატრი ცხოვრების სარკეაო — ამბობენ; — მართალია იმიტომ, რომ ის ფორმაა ცხოვრებისა, სინამდვილისა, როგორც ყოველი დარგი ხელოვნებისა.

და თეატრი ხომ ტაძარია ხელოვნების ერთ-ერთ დარგისა; მსახიობის მსახურება — შემოქმედებაა მხატვრისა, თუ ის, რასაკვირველია, ნამდვილი განცდის გავლენის ქვეშ იმყოფება, — მომენტია მოქმედებისა.

სცენა - სანახაობაა, რომელიც მოქმედებას გარკვეულ სახეს, მთლიანობის ხასიათს აძლევს.

ამ ორ აუცილებელ მომენტისაგან შესდგება მოღვაწეობა თეატრის მოსამსახურეებისა, ამ ორ ელემენტისაგან იქმნება შთაბეჭდილება, რომელიც გამოაქვს ამ ხელოვნების ტაძრიდან მაყურებელს.

თეატრი — სცენა გამოსახულებაა სანახაობის და მოქმედებისა, რადგან ის ფორმაა ცხოვრებისა, რომელიც თვით სანახაობას და მოქმედებას წარმოადგენს. მოქმედების გამომხატველი — განსაკუთრებით მსახიობია; — სანახაობის — რეჟისორი; — მათი მოქმედება შეთანხმებული უნდა იყოს.

ეს აუცილებელია მთლიანობისათვის.

გონება, გრძნობა და ნება აქ, მსახურების დროს, ერთი მეორის წინააღმდეგ არ უნდა მოქმედებდენ...

ამას ითხოვს თეატრი, რადგან ეს მოთხოვნილებაა თვით ცხოვრებისა...

მისი ცხადყოფა არის მისწრაფება ადამიანისა ..

მ. წულუკიძე

# ჩვენი თეატრის არქივი

—

ყველასათვის ცხადია, თუ რა ძვირფასია მეისტორიესათვის წარსულ ხანის ნაწერი საბუთები. ჩვენი თეატრის წარსულსა და დასაწყისს, მართალია, ჯერ არ დასწოლია წელთა უხვი სიმრავლე, მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისი შესწავლის ხანა უკვე მომწიფდა. ჩვენს თეატრს ახალმა სიომ დაჰბერა და ახალგაზრდობამ შემოდგა ფეხი ტაძრის კიბეებზე; ამ ახალგაზრდობამ უნდა იცოდეს ტაძრის საძირკვლისა და მისი კედლების აშენების ისტორია. ჯერ კიდევ ცოცხალნი არიან ჩვენი თეატრის სულის ჩამდგმელნი; მათი სიტყვა, მათი ამბავი წარსულზე, რასაკვირველია, უნდა მივიღოთ ცოცხალ უტყუარ საბუთად,– ისინი ხომ მოწმენი არიან ჩვენის სცენის ზრდა-განვითარებისა. ვ. აბაშიძის ყოველი სიტყვა, თქმული წარსულის შესახებ, ანთებული სანთელია, ბნელ ოთახში შეტანილი.

ჩვენ კერძოდ დანამდვილებით ვიცით, რომ ჩვენი თეატრის ზოგიერთ ძველ ქურუმს ვრცელი მემუარებიცა აქვს დაწერილი.

ვიმეორებ—ყოველივე ეს ძვირფასია ქართულ თეატრის მეისტორიესათვის, მაგრამ ამ მეისტორიეს სხვა საშუალებაც აქვს: სახელდობრ ქართ. დრ. საზოგადოების არქივი.

ჩვენ შემთხვევა მოგვეცა გადაგვეთვალიერებინა ეს არქივი და მიუხედავად მისი ქაოტიურ მდგომარეობისა, ვაღიარებთ, რომ იგი არქივი მთელი განძია მისთვის, ვინც ჩვენი თეატრის ისტორიის შესწავლას მოიწადინებს.

როდესაც ამ არქივს ვათვალიერებდი, მართალი ვსთქვა, გამაკვირვა მასალათა სიმრავლემ ყოველი საკითხი და ყოველი საქმე შემუშავებულია. ნათლადა სჩანს, თუ რაოდენი ენერგია, შრომა და უნარია დახარჯული აღძრულ საკითხთა წესიერ დონეზე დასაყენებლად. ეს ხანა ხომ ჩვენი თეატრის საორგანიზაციო ხანაა, შემოქმედების ხანა. ყოველი საკითხი ახალი იყო და გარკვეულ პასუხსა თხოულობდა. თეატრის ხე კი მრავალშტოიანია, თვითეულ შტოსაც მოვლა ესაჭიროება. აი ამ მოვლის საბუთები უხვად მოიპოვება ქარ. დრამ. საზ-ბის არქივში. რეპერტუარი, რეჟისურა, მსახიობი, თეატრის მოწყობილობა, თვით თეატრის შენობა, ერთი სიტყვით ყველაფერი წინასწარ გათვალისწინებულია და შემუშავებული. მრავალ ოქმთა და მოხსენებათა შორის თქვენ შეხვდებით ისეთებს, რომელნიც სადღეისოდ გამოსადგენი არიან; დავასახელებ თუნდ მსახიობთა კურსების საკითხს, რომლის შემუშავებაზედაც ბევრი შრომაა დახარჯული. ეს საკითხი ჯერ კიდევ 1884—5 წელშია აღძრული და სასურველი მიმართულება აქვს მიცემული. აღსანიშნავია თ. გ. თუმანიშვილის ვრცელად დასაბუთებული მოხსენება, რომელიც დრამ. საზოგადოების წევრთა წინაშე მჭყვრმეტველურად ამტკიცებს მსახიობთა კურსების დაარსების აუცილებელ საჭიროებას.*) განა მარტო ეს საკითხი? სხვა—ათასი! საუბედუროდ ამ არქივს არა აქვს ჯეროვანი ყურადღება მიქცეული.

საჭიროა მისი სისტემაში მოყვანა. კარგი იქნება, რომ დრამ. ს-ბის გამგეობამ მას ყურადღება მიაქციოს და: თუ თვითონ დრო არა აქვს,—მოიწვიოს მცოდნე პირი და მისი წესრიგში მოყვანა მიანდოს.

ვიმეორებ, რომ ეს არქივი ჩვენი თეატრის ზრდა-განვითარების მრავალმეტყველი მოწმე. იგი ზოგიერთ შემთხვევაში მომავალის მაჩვენებელიც არის.

**კონსტან — ანდრონი**

## ისმენდა სული... ელტოდა სული

I

ისმენდა სული... ელტოდა სული
ჰანგს რომ მღეროდა შავი უფსკრული...

II

დამატყვევებელ გრძნეული კვნესით,
ფრთებსა არხევდა საბედისწეროს;
მომაკვდინებელ ჯადოსნურ წესით
კუპრით ღებავდა გრძნობების სფეროს...

—

უსასოებით ნაზით, ნარნარით,
სიკვდილს უმღერდა ქებათა-ქებას,
ჯოჯოხეთური ცივი ხარხარით
სხივით მოსავდა თავდავიწყებას...

III

კვნესოდა გული... სტიროდა გული
ჰანგს რომ მღეროდა შავი უფსკრული...

**კიკნა-ფშაველი**

---

*) ამ მოხსენებას ჩვენის ჟურნალის მახლობელ №-ში დავბეჭდავთ. **რედ**.

# „რათ აღსდეგი ნაზარეველო, რათ?!...“

(სააღდგომო ფანტაზია)

—

ძღვნად ქ. ს...

შეჩერდა. იხედება... უნდა მოსულიყო და არსად სჩანს..

— ჰო, ის უნდა მოსულიყო მის საფლავზე, ვინც მისი ჯვარი გამოსჭრა, გამოაკოპიტა... უნდა მოსულიყო, რომ ტვირთმძიმეთა მოამაგის წინაშე თვალცრემლიანი დაცემულიყო და მონას,—ჯვარის გამომჭრელ მონას, ნაზარეველის საფლავის წინ ქედი მოეხარა... პატიება ეთხოვა...

სდგას ღვთაებრივი და უცდის...

— ის უსათუოდ უნდა მოსულიყო... უნდა...

ფიქრობს.. აჩრდილს ხედავს... მონა ფეხაკრეფით მოდის მისი საფლავისკენ. ახლოვდება. გული უცემს, დარაჯების ეშინია... შორით მუხლს იდრეკს და ნაზარეველის საფლავისკენ ხელებს აპყრობს...

— მაპატიე, მასწავლებელო, რომ შენი საწამებელი ჯვარი მე გამოვსჭერი... მაპატიე. —ლუღლუღებს იგი.—მაგრამ მონა ვარ, ძალა დამატანეს... ცრემლები სცვივა... ქვითინებს...

— ძალა დაგატანეს?.. და ნაზარეველი მხარზე ხელს ადებს...

მონა კრთება... ძირს ეცემა...

— შენ, შენ... შენ...—ხმას ვეღარ იღებს...

— შენ... მაშ... აღ...სდეგი... ძლივს აბამს სიტყვებს...

— აღვსდექი... ეუბნება ნაზარეველი.

— რათ, რათ? და მონას ტირილი მოსდის... რათ? მაშ, შენ არ უწამებიხარ?

— მაწამეს... და დალურსმულ ხელებს აჩვენებს...

— მაშ, რათ აღსდექი? კიდევ იმეორებს მონა და ტირილი მოსდის.

— გიხაროდეს... ეუბნება ნაზარეველი... გიხაროდეს... რამეთუ მე აღვსდექი.

— არა.—ეუბნება მონა... ქვითინებს...

— რათ სტირი?—ეკითხება ნაზარეველი.

— ვგრძნობ. შენი აღდგომით მონობა არ მოისპობა... გუშინ თუ შენს საწამებლად ჯვარს მაკეთებინებდენ... ხვალ შენ სადიდებლად იმავე ჯვარის სახელით უღელში შემაბმენ და მოთმინებას მომთხოვენ... გუშინ თუ ჯვარს შენს საწამებლათ მაკეთებინებდენ—ხვალ ჯვარს ჩემს საწამებლად მევე გამომაჭრევინებენ... არა, რათ აღსდექი, რათ? კიდევ იძახის მონა,..

ფიქრობს ნაზარეველი... შუბლი ნაოჭებად ექცა... ბოლოს მონასთან მიდის... შუბლზე კოცნის და ეუბნება...

— მართალი ხარ... რათ, რათ აღსდეგი... განა კაცობრიობას ჩემი აღდგომა გადაჰქმნის?! ცრემლი ჩამოსდის... ქრება... ხეს მიყრდნობილი მონა ლუღლუღებს:

— რათ აღსდეგი ნაზარეველო, რათ?!..

**დია ჩიანელი**

# მ ე ქ ა ნ დ ა კ ე

(გერმანულიდან)

ერთს საღამოს აღძრა მას სურვილი შეექმნა სახე „ბედნიერებისა, რომელიც გრძელდება მხოლოდ ერთს წუთს“.

ადგა და გაუდგა გზას თითბრის საძიებლად, რადგანაც მხოლოდ თითბერში შეეძლო მას თვის სურვილის განხორციელება; მაგრამ არ იყო ქვეყანაზე თითბერი და არსად იშოვნებოდა გარდა ერთის ქანდაკებისა, სახელწოდებით: „მწუხარება, რომელიც სცოცხლობს სამუდამოდ“.

ეს ქანდაკება მან შეჰქმნა თავისი საკუთარი ხელით და დაამშვენა საფლავი ერთად-ერთი ქალისა, რომელიც მას უყვარდა მთელ თავის სიცოცხლეში, დაამშვენა საფლავი იმისი, ვინც იმისთვის ძვირფასი იყო მთელ ქვეყანაზე. დასდგა მან ეს თვისი ხელებით შექმნილი ქანდაკება, ნიშნად უკვდავ სიყვარულსა, ნიშნად „მწუხარებისა, რომელიც სცოცხლობს სამუდამოდ“...

მთელ ქვეყნიერებაზედ არ იპოვებოდა სხვა თითბერი, გარდა ამ ქანდაკებისა...

აიღო მან ეს თავისი ქმნილება და გაადნო ცეცხლზე... ქანდაკებიდან „მწუხარება, რომელიც სცოცხლობს სამუდამოდ“ შეჰქმნა ქანდაკება: „ბედნიერება, რომელიც გრძელდება მხოლოდ ერთს წუთს“.

**შ. ხონელი**

# სამშობლო ქვეყნის მოღვაწენი



**დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანი**

**1814—1887—1914**

ხვალ სრულდება ასი წელიწადი, რაც თვალი გაახილა დიდებულმა მამულიშვილმა დიმიტრი ყიფიანმა, მერე დიმიტრი თავდადებულად წოდებულმა...

დიმიტრი ყიფიანი, — გვემულ-წამებული, — ეს იგივე მეცხრამეტე საუკუნის საქართველოა, საქართველო მრავალტანჯული...

როდესაც საქართველომ თავისი ბედი ძლიერს ერთმორწმუნე ერს შეუკავშირა, დარწმუნებული იყო, ამითი მოიპოვებდა მშვიდობიან ცხოვრებას და მოქალაქეობრივ განვითარებას შეუდგებოდა, მრავალსაუკუნეთა განმავლობაში მამა-პაპათა სისხლ-ოფლით მორწყულ სამშობლოში სამშობლო კერა საძიებელი არ გაუხდებოდა, რისთვისაც მთელი თავისის სულიერ-ხორციელი ძალღონით მედგრად იბრძოდა ერთმორწმუნე ერის ძლიერების თავის სამშობლოში განსამტკიცებლად... ამ მიზანს ეწია კიდეც, მაგრამ...

მას შემდეგ ძე ქართლისა უნუგეშოდ ვალალებს...

სწორედ ასეთივე იყო მთელი ცხოვრება — მოღვაწეობა სულმნათი მამულიშვილის დიმიტრი დიდისა...

იგი ღრმად დარწმუნებული იყო, რომ ძლიერი ერთმორწმუნე ერის ძალა-უფლების საკუთარ სამშობლოში განმტკიცება მის საყვარელ მამულს კირთებისგან დაიხსნიდა და მიტომაც ერთგული თავგამოდებით ემსახურებოდა ამ ძლიერი მოკავშირის გაბატონებას... მიზანსაც მიაღწია, გარნა, როდესაც საკუთარის ყურით მოისმინა, რომ მოყვრად მოწვეულ ერის მღვდელმთავარმა უგმო სულის წმიდათაწმიდა — საყვარელი მამული, მაშინ-კი ერთმორწმუნე ერის სამსახურში წელთა სიმრავლით გათეთრებული, თმა-სპეტაკი მოხუცი სულიერად აღზორგდა და სამშობლოს დამაწყევარს მტკიცე პასუხი მოსთხოვა, რის გამოც...

ოჰ, საზარელია ამ წუთების მოგონება...

დაინთხა თავდადებული მამულიშვილის წმიდა სისხლი, დადუმდა ბაგე მისი, მაგრამ იმავე წუთიდან გაცნობიერდა ქართველი, თვალთაგან ლიბრი ჩამოეცალა...

ჩაისახა ახალი მიზანი...

მამულის საკუთარის ძალღონით მოვლა-პატრონობის დედა-აზრი...

დიმიტრი დიდი ჩვენთვის არ მომკვდარა და არც მოკვდება, როგორც არ მომკვდარა მისგან დაწყებული საქმენი...

უბრალო აზნაურის შვილმა, ევროპიული სწავლა-განათლებით აღჭურვილმა, მამულის თავდავიწყებამდე მოყვარულმა მთელი თვისი სიცოცხლე მშობელი ქვეყნის სამსახურში განვლო ისე, როგორც მას ესმოდა...

დიმიტრი დიდი სამოღვაწეო ასპარეზზე რო გამოვიდა, საქართველოს დამოუკიდებლობის საზღვრები ახალად იყო მინგრეულ-მონგრეული და ახალ წყობილებას საძირკველი ეყრებოდა... თეატრი, მწერლობა, ახალი დროის სკოლები, — არც ერთი ეს არ იყო იმ ხანად...

პირველი დასჯის შემდეგ რუსეთიდან დაბრუნებულმა დიმიტრიმ მეფის მოადგილის სამართველოში საპატიო თანამდებობა მოიპოვა და ამ დროიდან მშობელი ერის სულიერ განვითარებასა და ნივთიერ აღორძინებასაც დიდი ყურადღება მიაქცია...

მისი მახლობელი მონაწილეობით დაარსდა ქართული თეატრი თავ. ვარანცოვის დროს, მისსავე დროს გამოიცა პირველი ქართული ჟურნალი „ცისკარი“, დაფუძნდა საადგილ-მამულო ბანკი, ქართვ. შორის წ. კ. გამავრ. საზოგადოება, მუდმივი ქართული სცენა და სხ.

პირველად დიმიტრიმ დაიწყო ქართულ ჟურნალში სამეცნიერო წერილების წერვა; პირველად მან სთარგმნა შექსპირის, მოლიერისა და სხვათა პიესები, რომ ქართულ თეატრს საშუალება ჰქონდა უცხოეთის კლასიკთა

წარმოდგენისა და თვისი შვილებიც ქართული თეატრისა, მწერლობისა და, საზოგადოდ, მეცნიერების სიყვარულში აღზარდა...

დიდი ღვაწლი დასდო ჩვენს სამოქალაქო, საქალაქო, საფინანსო, სამოსწავლო, თუ ჩვენის საზოგადოებრივ განვითარების სხვა მხარეთ და ეს მისი ღვაწლი დაუშრეტელია, მუდმივი, მარად სიკეთის მომფენი...

აი, ასეთი ადამიანის დაბადების ასი წლიწადი სრულდება ხვალ, 14 აპრილს, ხოლო 25 ოქტომბერს—26 წლიწადი მისი ვერაგულად მოკვლისა...

და, აი, ასეთი კაცის ნამოღვაწევი ჯერაც კიდევ ღირსეულად ვერ დაუფასებია ჩვენს საზოგადოებას...

კერძოდ ჩვენის თეატრის მესვეურთ ჰმართებთ გამოსცენ მისი ნათარგმნი პიესები. გარდა იმისა, რომ ამ გვარად ჩვენ გვექნება უცხოეთის კლასიკთა ზოგიერთი ნაწარმოებნი მაინც, დედნიდან ნათარგმნი ენის მხრითაც დიდს განძს წარმოადგენს მისი ნაშრომი...

დასასრულ ჩვენს საზოგადოებას მოვაგონებთ, ქართველი ერის მოჭირნახულე მამულიშვილის დაბადების ასი წლისთავი რაიმე ღირსეული საქმით აღნიშნოს...

ამას გვავალებს მამულისათვის მისი თავდადება...

ი—ი

* * *

— ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგა!

ჩასძახის არე-მარეს მთის ნაპრალიდან მოხეთქილი გიჟმაჟი ნაკადული; ელვის სისწრაფით ეცემა ძირს, აქაფებული მირბის ქვევით, ქვიდან-ქვაზე ხტის, გვერდს ჩაურბის ჭალას, ცელქად მიიკლაკნება ამწვანებულს ველზე, აცოცხლებს, ახმაურებს ტყეს, მინდორს.

ჭეშმარიტად! ჭეშმარიტად! ჭეშმარიტად აღსდგა! უპასუხებს მკვდრეთით აღდგომილი ბუნება.

ჭეშმარიტად აღსდგა! უპასუხებს ჟრიამულით ძილიდან ახლად გამორკვეული ფრინველთა გუნდი.

ჭეშმარიტად აღსდგა! სისინებს მთის მწვერვალიდან მონაბერი გიჟმაჟი ნიავი.

ჭეშმარიტად აღსდგა! შრიალებენ ცელქი ნიავისაგან ახმაურებული ხის ნორჩი ფოთლები.

ჭეშმარიტად აღსდგა! სისინებენ მინდვრის მწვანე ჯეჯილნი და სადღესასწაულოდ მორთულნი, ათასფრად გადაშლილი მინდვრის ყვავილნი.

ჭეშმარიტად აღსდგა! ისევ სევდიანი ხმით რაღაც გაუბედავად იმეორებს მაშვრალთა კერაც......

ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგა—მირაკრაკებს ნაკადული...

ჭეშმარიტად, ცელქო, ჭეშმარიტად! გიჟმაჟად ჩამორბის მის დევ-გმირულ მკერდზე!.. მე მინდა შენ ისე გიყვარდე, როგორც გიყვარს შენ ნაპირზე მობიბინე მწვანე ბალახი, რომლის ძირებსაც ჩუმად ეპარები, გოლვისგან იცავ, ხავერდსავით ასივსივებ!.. მე მინდა შენ ისე გიყვარდე, ვით შენს ნაპირებზე მოღაღანე მინდვრის ყვავილნი, რომელთაც კეკლუცად დაუხრიათ თავი და მიშტერებიან შენში ჩახატულს თვის მომხიბლავ სახეს.

მე შენს გვერდით სრულებით ვიცვლები, ბუნების გიჟმაჟო შვილო! მე შენს გვერდით კვლავ მიბრუნდება რწმენა! მე შენს გვერდით კვლავ ყველა მიყვარს! მე შენს გამუდმებულს რაკრაკში მესმის სიცოცხლის ტკბილი გამოძახილი, რომელიც რუვისკენ მიწევს, საიმედო მომავლისკენ მითითებს!..

აი ამ წუთში მსურს გადავიქცე შენს უმანკო წვეთად, მსურს შევუერთდე შენს მაღლა მხტომარე ჭევლს, შენთან ერთად მხიარულად ჩავყვე ჩემ სამშობლოს ზურმუხტ ველებს, ყველას გულწრფელად შევურიგდე, ყველას გულწრფელად მივულოცო სასიხარულო დღე.

აღსდგა ქრისტე, ჩაგრულთა პირველი მეგობარი!.

აღსდგა დათრგუნვილი სიმართლე და ჭეშმარიტება!

**სევდია**

# ბედკრულთ მომღერალი

## ია ეკალაძე — თომაანთ კობა



ოცი წელიწადი შესრულდა, რაც ია ეკალაძე თვისის მხატვრული ნიჭითა და ბასრი კალმით მშობელი ქვეყნის გათვითცნობიერებას — თანამოძმეთა გაადამიანებას ემსახურება...

ჯერ კიდევ სასწავლებელში იწვნია იამ უკუღმართი წყობილების სუსხი, ხოლო მწერლობაში ფეხი გამოსდგა თუ არა, მაშინაც, იმ დროში გასაგონად საზარელი — აწ კი დღიურ მოვლენად გადაქცეული — რ სხვა მოევლინა, — უცებ იმ ორგანოს დახურვა, რომელშიაც ის მოთხრობა დაიბეჭდა და ბოლოს, იმავე ხანებში, ერთი პაწაწინა ამბის გამო („რას იციანი?!") ცოლშვილიანად აწიოკება, ოჯახის დაფუშვა, სამშობლოდან გაძევება უცხო მხარეს, სადაც ხუთი წელიწადი დაჰყო...

მაგრამ მიუხედავად ყველა ასეთი დევნა-შევიწროვებისა, „უსამართლოდ ლახვარ-სობილი" ია ეკალაძე, მაშინ თომაანთ კობას სახელით ცნობილი, გაორკეცებულის ძალღონით მიდიოდა იერიშით დრომოჭმულ რწმენა-შეხედულებასა და თანამემამულეთა მცონარეობაზე...

ცხოვრებისაგან გულდაკოდილი ასე ლომგულდება ხოლმე ყველა ის, ვისაც მოძმეთა და მამულის სამსახური და უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა უეჭმიდეს მოვალეობა — რწმენად აღმოუჭრია გულში...

უცხო არის განდევნილ-გარდახვეწილი მამულისა და ხალხის მოჭირისუფლე მარად თვის საყვარელ სამშობლოს ბედ-იღბალზე ოხრავ-ოცნებობდა, შორით მხოლოდ ერთს ძიობდა:

...„ცოცხალია თუ არა სატრფო,
მხიარულობენ, თუ სტირიან ჩემი მოძმენი,
ძინავთ თუ ღვიძავთ, ან ჰფიქრობენ თვის მომავალზე,
რომ სამერმისოთ თვის არსება მათ განამტკიცონ?"

იდუმალი ხმა-კი გულდასაკოდად ჩასძახოდა:

„ისევ სძინავთ... მოძმეთა, ისევ ჩხუბობენ,
ერთმანეთს სჭამენ, ცილს სწამებენ, იმრიზებიან,
სხვას ახარებენ, თვისის ხვრინვით, სასთ-მიხდილნი,
და სხვის დამქაშად გარდაქმნილნი იღანძღებიან.."

მწერალმა მთელი თვისი მხატვრობითი უნარი მოახმარა ძაძით მოსილი სამშობლოს და მის ბედკრულთა შვილების, ცხოვრების სარბიელზე მუხლჩაკეცილთა სულისკვეთებათა დასურათხატებას... პირველად მან აღგვიწერა ქართველი ინტელიგენტ-პროლეტარი, რომელიც ლუკმა-პურის მოპოებისათვის იძულებულია ყოველივე მაღალ მისწრაფებაზე ხელი აიღოს...

საზოგადოებრივ ცხოვრების უწესრიგობით, მაღალ-დაბლობით ბრაზმორეული მწერალი ფარდასა ჰხდის უსამართლო ურთიერთობას და ერთის თვისი გმირის პირით გვეკითხება: „როდის, ნეტავ როდის მოეღება ბოლო ამ უკუღმართობას, როდის იქნება, ყველა მაძღარი და კმაყოფილი იყოს თვის ბედისათ?!" ხოლო როდესაც ჰხედავს ადამიანთა დაჯუჯავებას, გრძნობა-გონებით დამონავებას, გულამღვრევით ჰკითხულობს:

„რა არის კაცი, თუ მარად ყამს მონა იქნება,
მონა ცბიერი, მონა მხდალი და მატყუარა,
მონა დიდ კაცის, მონა ფულის, მონა ვნებათა!"

ადამიანთა ასე დამონავება გულს უწყლავს და მიტომაც ჩასძახის: „იბრძოლე მარად... მუცლით ხოხვა რა ბედენაა?" ხოლო როდესაც ჰხედავს თანამოძმეთა ყრუ-მუნჯ გამომეტყველებას, საზოგადოებრივ გულციობასა და უილაჯობას, ეს სულით დაცემულთა მამხნევებელი, მწუხარებით მოსთქვამს:

„ოხ! რათ არ ძალმიძს, მე ბედკრულმა სამთელისებრ
მოვნახო გმირი, გამომხსნელი ხალხთა ტანჯვისგან,
ვისაც შეეძლოს შურდული ჰკრას ბილწსა გოლიათს,
დასცეს მონობა, სილაჩრესა ფრთა შეაკვეცოს
და აღფრთოვნებულ, გაღვიძებულ ხალხთა სიმრავლეს
მამაცურადა წინ გაუძღვეს..."

ამ სიტყვებში სავსებით გამოხატულია მწერლის მოღვაწეობა — ლტოლვა — მისწრაფების დედა-აზრი...

და ეს მისი მისწრაფებანი ხომ ყველა ჭეშმარიტი დემოკრატის — თვისი ქვეყნისა და ხალხის გულწრფელი მოყვარულის — მისწრაფებაა...

ასეთი აღფრთოვანებული კილოთი წერვა იქნება არასოდეს არ იყო საჭირო ჩვენის სა-

ზოგადოებისთვის ისე, როგორც ახლა, ჩვენს დროში, როდესაც ახალი მკითხველი წარმოიშობა და სულიერი წყურვილის დასაკმაყოფილებლად საშუალებას ეძიებს...

მიტომაც ქუთათურ გამომცემელთ ძლიერ კაი დროს განუზრახავთ ხალხის საყვარელი მწერ-ის თხზულებათა მეორე ტომის გამოცემა (პირველი ტომი გამოიცა 1903 წ. თბილისში).

ია ეკალაძის, ამ „გულთამხილავ ანგელოზის“ ნააზრ-ნაწერები კიდევ დიდხანს გაუწევს მესარკეობას ქართველ მკითხველს: გააცნობს ცხოვრების სიდუხჭირეს, დაანახვებს საკუთარ სიბეჩავეს და ცხოვრების განსაახლებლად აღაფრთოვანებს, მებრძოლ სულს შთაბერავს!..

ვუსურვებთ ჩვენს საყვარელ მწერალს თვის ახალ-ახალ ნაწერებით კიდევ კარგა ხანს ესაზრდოებინოს სამშობლო მწიგნობრობა!...

**იოსებ არიმათიელი**



**კ. ბალმონტი**

საქართველოში მისი სტუმრობის გამო.

## ს ა ლ ა მ ი!

სალამი ძვირფას სტუმარს!

დაე, თუ ხალხთა ძმობა-ერთობას ხელოვნურად შექმნილი დაბრკოლებანი ელობება, პოეზიის სამფლობელოში სულმან სული შეიტკბოს, ზენაარ ნიჭით ცხებულ ადამიანთა გამოძახილმა ურთიერთზე დაძვირგულებულ ერთა გულში ღვთიური ცეცხლი აღაგზნოს ერთმანეთის დევნა-მტრობისა, სიძულვილისა და გაუგებრობის დასაბუგავად, რათა შესაძლო იქმნეს ერთა შორისი სიყვარულისა და თანასწორობის განმტკიცება!..

დაე, დიდის რუსეთის სახელგანთქმულო მგოსანო, შენმა სულმანც შეიცნობოს პა ჯარა ივერიის უდიდებულესი შვილი, საქართველოს ოქროს ხანის მარგალიტი, მთელი ქართველი ერის სიამაყე, რათა შენთა თანამემამულეთაც განაცდევინო ქართველ მგოსანთა მამამთავრის ქმნილება და მით უჩვენო შენს თანამოძმეთ, თუ რაოდენ სულიერ სიმდიდრეს შეიცავდა დღეს ძაძით მოსილი ივერიის თვითარსებობა შორეულ წარსულში და აწ რის ღირსნი არიან ძენი მისნი!...

იქნება იგი გადიქცეს პიტალო ძმობის გზახიდად...

. მშვიდობა შენდა, ციურ ხმათა მომღერალო, ცივ-ჩრდილოეთის შვილო!...

მრავალჭირნახული, მაგრამ მარად უდრეკელი, შოთას სამშობლო ია-ვარდ-ყვავილებით გეგებება!..

**იოსებ იმედაშვილი**

## მე, მე ასე მსურს...

(კ. ბალმონტიდან)

მსურს ვიყო ლაღი, შეუპოვარი,
მტევანთ გვირგვინი შევკრა, შევკონო;
ძალით გავხადო ტანთსამოსელი
და შენს მშვენიერს მკერდს დავეკონო!..

მსურს შემოვტრფოდე ბროლ-ბადახშ ბაგეს,
რომ ორთა ზრახვა გარდიქმნას ერთად...
გამშორდით, ღმერთნო! გამშორდით, ხალხნო!
მე მსურს ის მყავდეს სულისა ღმერთად!..

დე ხვალემ ნისლი გარს მოიფაროს,
დღეს მზის სხივთ ტრფობა მინდა, გულსა სწყურს;
მაშ შორს, სიბერევ! შორს, მწუხარებავ!
ვიშვებ, ვილაღებ: — მე, მე ასე მსურს!..

**ბ. ახოსპირელი**



ვანო ბარ- ზედგინიძე პ. კორი- ალ. ყალა- ი. ზარდა- შალვა გრ. ჩარ-
ველი (მოკარნახე) შელი ბეგიშვილი ლიშვილი დადიანი კვიანი

## ახალგაზრდა მსახიობთა ამხანაგობა,

ვლ. ალექსი-მესხიშვილის რუსეთს წასვლის შემდეგ 1908—9 წ. ქუთაისში შემდგარი, რომელიც ორი წლის განმავლობაში აწარმოებდა სეზონს. მათმა მუყაითმა მუშაობამ ხელი შეუწყო ქუთაისში დრამ. საზ-ის დაფუძნებას.

## ი. გედევანიშვილის ახალი პიესა ,,სინათლე''-ს მეორე ნაწილი

(მოკლე შინაარსი)

ჩვენმა დრამატურგმა კიდევ ერთი ახალი, მაღალ-ხელოვნური და ღრმა-იდეური პიესა მიუძღვნა სამშობლო სცენას. ეს არის „სინათლე"-ს მეორე ნაწილი. პიესა სამ-მოქმედებიანი და ექვს-სურათიანია: 1. ქაჯთა სამეფო, 2, ავთანდილის სასახლე; 3. განდევნილი მეწისქვილე; 4. ავთანდილის სასახლე; 5. ფერიათა სამეფო; 6. რკინის კოშკის დანგრევა; აპოთეოზი—სინათლის მფენ-შანდლის ხალხის ხელში ჩაგდება. შინაარსი: ქაჯთა მეფე დამხობილია, საქაჯეთი შეძრწუნებული. ავთანდილი უკვე გამეფდება, მაგრამ სინათლეს ხალხის სასიკეთოდ კი არ ხმარობს და თვითონაც ხალხის მტარვალად გარდიქცევა. ამითი ხალხი უკმაყოფილოა და ცდილობს ავთანდილს სინათლის შანდალი ჩამოართვას. უკმაყოფილო და მეამბოხე ხალხს ავთანდილი სასტიკად სჯის. ფერიები რომ შეიტყობენ, ავთანდილი მოპოვებულ ძალა-უფლებას ხალხის საწინააღმდეგოდ ხმარობსო, თვის მფარველობას მოაკლებენ. ერთხელ ავთანდილი შანდალს აანთებს, ფერიებს გამოიხმობს და სთხოვს ცეკვით გაართონ. ფერიები უარს ეტყვიან. გაჯავრებული ავთანდილი თავის ამალას მიუსევს ფერიებს; სანთელი ჩაქრება, ფერიები გაქრებიან და შანდალიც ვეღარ ინთება. ბრაზმორეული ავთანდილი შანდალს დაანარცხებს, მაგრამ ვერას დააკლებს; ახლა მჭედლებს დაახვევს დასამტვრევად. ამ დროს გამოეცხადება ქაჯთა მეფე, რომელიც შეწყხებული იყო ავთანდილის მიერ შანდლის მისაკუთრებით, ხოლო რაკი შეიტყობს—ავთანდილი სინათლეს ხალხის საკეთილდღეოდ არა ხმარობსო, გახარებული მივა და ეტყვის: ეგ შანდალი რკინის კოშკში ჩაკეტე, მეამბოხე ხალხის მეთაურები ხელში ჩაიგდე და დასაჯეო. ხალხს მეთაურადა ჰყავს ორი გლეხი და მათს შეპყრობას ურჩევს დავრიში ავთანდილს. ავთანდილი გლეხებს შეიპყრობს და დასჯას უპირებს. ქაჯთა მეფე ეტყვის—ჯერ ნუ დასჯი, მიჩვენეო. ავთანდილი გლეხებს უჩვენებს. დავრიში ეტყვის—ერთ ამ გლეხთაგანს ცოლი და მცირე წლოვანი შვილი - არსენა ჰყავს. ესენი მოაყვანინე, ცოლი შენ იყოლიე, ხოლო მისი შვილი -- არსენა რკინის კოშკში ჩაამწყვდიეო. ხალხსა სწამს, რომ გლეხის შვილი არსენა ხალხის საკეთილდღეოდ იზრდება, სინათლის-მფენ შანდალს მოიპოვებს და ხალხის სასარგებლოდ გამოიყენებსო. ავთანდილი მერე გაგზავნის სახლთხუცესს ჯარისკაცებით გლეხის ცოლის და შვილის—არსენის მოსაყვანად. ხალხი შეიტყობს თუ არა მეფის განზრახვას, თვის ბელადის ცოლ-შვილს გაიტაცებს და ერთ მოხუც მეწისქვილესთან დამალავს. ეს მეწისქვილე ავთანდილ მეფისგან დევნილია მეამბოხეთა მომხრეობისათვის. მეფის მდევარი გლეხის დამალულ ცოლ-შვილს ვერ მიაგნებს და ნაწილი მისი კლდე-ღრეში დაიღუპება. როცა მდევარი გასცდება წისქვილს, მეწის-

ქვილე გულს დაიარხეინებს, ნესტიან ადგილიდან დედა-შვილს გარედ ხის ქვეშ მზი-გულზე გაიყვანს დაღლილობისაგან დასასვენებლად. დედა-შვილს მიელულებათ. ამ დროს გამოჩნდებიან ფერიები, ტკბილ ნანათი მიაძინებენ ბავშვს მშობლიურ და მძინარე ბავშვს — არსენს გაიტაცებენ ფერიათა დედოფალთან, სადაც სათუთად ზრდიან, რადგან იციან, რომ სინათლის-მფენი შანდალი მან უნდა მოუპოვოს ხალხს. როცა პირველი მდევარი ხელცალიერი დაუბრუნდება ავთანდილ-მეფეს, მეორედ გაგზავნის მდევარს, რომელიც ხელში ჩაიგდებს მხოლოდ მეწისქვილეს და ბალღის — არსენას დედას, აწ უკვე ჭკვაზე შერყეულს ხალხის მესიად მიჩნეულ შვილის დაკარგვისა გამო. ავთანდილი მეწისქვილეს ჰკითხავს — სად არის ბალღი არსენათ? მეწისქვილე უპასუხებს: იქ, სადაც საჭიროათ. და ბოლოს დაატანს — იქ არის, სადაც შენც იყავი; როგორც შენ, ისიც დაბრუნდება, მაგრამ შენისთანა-კი არ იქნებათ... ავთანდილ-მეფე დარაჯებს გადასცემს მეწისქვილე-მოხუცს და გლეხის ცოლს კოშკის წინ ცოცხლივ დასამარხავად, რომ მით თავზარი დასცეს ხალხს... ფერიათა სამეფოში არსენა უკვე დავაჟკაცდა. ფერიათა დედოფალმა იცის, რომ ძალა-უფლების ხელში ჩამგდები პიროვნება, ვინც უნდა იყოს, ბოლოს ხალხს ზურგს შეაქცევს და ძალა-უფლებას თვის სასარგებლოდ გამოიყენებს; მაგრამ ამასთანავე ისიც იცის, რომ რკინის კოშკში ჩაკეტილ შანდალს უმანკო კაცის სისხლი დაიხსნის, ასეთი-კი გლეხი არსენია. არსენს გამოისტუმრებენ შანდლის მოსაპოვებლად. არსენა ხალხს წინ გაუძღვება კოშკისაკენ, სადაც შანდალია ჩაკეტილი. არსენი შეუდრეკლად მიიწევს წინ, მტრის ისრები ვერას აკლებს; უკან მისდევს მეწისქვილე-მოხუციც; ბევრი ხალხი იხოცება. მოხუცმაც იცის ფერიათა ნაწინასწარმეტყველევი და როდესაც კოშკის კარს მიუახლოვდებიან, მოხუცი მეწისქვილე ხალხის საკეთილდღეოდ გასწირავს თვის გულის საყვარელს — საკუთარი ხელით დასცემს მახვილს არსენას, რომლის უმანკო სისხლიც ეპკურება კოშკის კლიტეს; კარი გაიღება და ხალხი ხელში ჩაიგდებს შანდალს.

პიესა ძლიერის ეფექტებითაა სავსე, მრავალფერადოვანია და მომხიბლავ-სურათოვანი.

## სახელგანთქმულ მოცეკვავის ელენე ჩერქეზიშვილის წერილებიდან

—

ჩვენს რედაქციაში იყო ქ-ნ ელენე ჩერქეზიშვილის ერთი ახლო ნაცნობი და, სხვათა შორის, გვაჩვენა ორი კერძო წერილი ჩვენი გამოჩენილი მოცეკვავე ქალისა. თუმცა წერილები კერძო პირთან არის მიწერილი, მაგრამ ზოგიერთი ადგილები საზოგადო ინტერესს მოკლებული არ არის. ამ შემთხვევით ვსარგებლობთ, რომ ჩვენს მკითხველებს გავაცნოთ შეხედულობა თვით ქ-ნ ჩერქეზიშვილისა თავის სასცენო მოღვაწეობის შესახებ.

ორივე წერილი პარიზიდან არის. აი პირვ ლში რას იწერება ქ-ნი ჩერქეზიშვილისა:

,,ამ ჟამად მე ძალიან ბევრსა ვმუშაობ. უკვე შემოვიარე მთელი ბელგია. ჩემი ცეკვა მე დაყოფილი მაქვს სამ დარგად: 1. დამხასიათებელი და პუანტები; 2. ცეკვა გუნების გამომხატველი (настроенiй); 3. გასტილიზებული (stylisé) ქართული სიმღერანი. ამ სიმღერათა შემწეობით მე ვცდილობდი გამეცნო უცხო ქვეყნის საზოგადოებისთვის ჩვენი ჩვეულება, ადათი... მაგალითად: ქართველი დედა— ,,იავნანა, ვარდო ნანათი'', ახალგაზდა კეკლუცი ქალი — ,,გოგონათი'', მწუხარება, დარდი სამშობლოზე და ნატვრა დაშორებულ ნათესავების ნახვისა—,,გაფრინდი შავო მერცხალოთი'', სპორტი — ,,აბა, მოდი ვიჭიდაოთი''. საზოგადოებას ძალიან მოსწონს ,,იავნანა'' და ,,ჭიდაობა''. ჭიდაობაში მე გამოწყობილი ვარ ქართველ ბიჭად და ისეთ ხერხიან ფანდებს ვაკეთებ ხოლმე, რომ ჩვენებურ მოჭიდავებსაც კი გავაკვირვებ.

ძნელი იყო პირველი გამოსვლა პარიზში. პირველ რეპეტიციაზე თეატრ Imperial-ის დირექტორის წინ მე ისე კარგად ვითამაშე, რომ მაშინადვე იმან კონტრაქტზე ხელი მომაწერინა. ჯერჯერობით ჩემი საქმე მშვენივრად მიდის.

კარგი, პლასტიკურად მოთამაშე არტისტქალისთვის, თავდაპირველად საჭიროა მუსიკალური განვითარება; მისი მოძრაობა, მიხვრამოხვრა, გამომეტყველება, ვნება — უნდა თავისთავად იბადებოდეს და ერთიანად მუსიკის-მიერ. როგორც ადამიანი, გიპნოტიზმით დაძინებუ-

ლი, მისდა უნებურ ემორჩილება სხვის ბრძანებას, აგრეთვე არტისტი-ქალი, თუ უნდა ახალი რამ შექმნას ცეკვაში, სრული მონა უნდა იყოს მუსიკისა...

მე, რამდენადაც შემიძლია, ვავრცელებ ქართულ პლასტიკას, მაგრამ მეტი იქნება ვუწოდო ჩემს თავს განსაკუთრებით ქართველი მოცეკვავე. ეგ აღემატება ჩემს ღონეს. იმედი მაქვს, ჩვენში გამოჩნდებიან ჩემზე უფრო ნიჭიერნი და განაგრძობენ ჩემგან დაწყებულ საქმეს''...

აი ზოგიერთი ადგილიც მეორე წერილიდან:

,,თუ თავისქებად არ ჩამომართმევ, გეტყვი, რომ ახლა მთელი არტისტიული საზოგადოება პარიზისა ჩემზე ლაპარაკობს. აგერ ერთი თვეა, რაც მე ვთამაშობ პანტომიმა ,La Romanichelle-ში. გამარჯვება — აღემატება ყოველ ჩემს მოლოდინს. ვთამაშობ მეცნობილ მოთამაშე პოლ ფრანკთან (Paul Franck), რომელიც თვით დირექტორია თეატრისა. იმან აგერ ექვსი წელიწადია რაც შესწყვიტა სცენაზე თამაშობა, რადგანაც ვერ იპოვა თავისთვის საჭირო არტისტი-ქალი. ახლა თამაშობს ჩემთან ერთად და მთელი პარიზი მოგვაწყდა ჩვენ. ბევრმა გამოცემამ დაბეჭდა ჩემი პორტრეტი, ყველგან მიწოდებენ ,,La grande danseuse georgienne''-ს (დიდებული ქართველი მოცეკვავე''). ახლახან ერთმა ჟურნალმა მთხოვა დამეწერა რამე ქართულად ჩემს პორტრეტზე, დასაბეჭდავად. შენა გგონია—დავიბენი? ყოჩაღად დავაწერე:

სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისრბოდა ისარი,
სად მამა-პაპა მეგულვის—ჩემი სამშობლო ის არი''.

როცა დაიბეჭდება, ამ ჟურნალის ნომერს გამოგიგზავნი; არ დაგავიწყდეს, ჩამოჰკიდე იგი თოხლიაურში*) პანტაზე.

ახ, ჩვენი ძვირფასი პანტა! რამდენი უდარდელი დღენი დავლიეთ ჩვენ იმის ჩრდილში. რა შორს მეჩვენება ახლი ის დრო! ნუთუ ჩვენ ვიყავით მაშინ? ერთი მოდგმა მისდევს მეორეს და როგორც ჩრდილი გადის იმის ჩრდილში... ვინ იცის, შეიძლება ოდესმე ჩვენი შვილისშვილი წაიკითხავს ჩემს ბიოგრაფიას და მადლობას ეტყვის იმ ჩვენს პანტას. განა იქ არ მივეჩვიე თავდაპირველად ფეხშიშველობას*). რამდენი წყვილი ფეხსაცმელი დამიგლეჯია მე იქ, დედი-ჩემის საწუხაროდ! აბა რას იფიქრებდა, რომ მწუხარება მეტი იყო.

ხუმრობა იქით იყოს. ჩემთვის ახლა აუცილებლად საჭიროა „კრებული ხალხური სიმღერებისა". რომანსების-კი არა, იგინი ხომ შემუშავებულია; არა, მე მინდა სრულებით უბრალო ხალხური, მაგრამ ტიპიური სიმღერები. შეიძლება შენ იცნობდე ვინმე კომპოზიტორს; ჰთხოვე ჩასწეროს ჩემთვის ეს სიმღერები, როიალისა და ორკესტრისთვის (ე. ი. ფლეიტა, ვიოლონჩელი, ბარაბანი, ზოგჯერ სკრიპკა). ფასსაც გადავიხდი. ეს კარგი საქმეა და მეტად საინტერესოა ევროპაში. თუ არა ამ გზით, ჩვენი მუსიკალური შემოქმედება თბილისის იქით ვერსად წავა. ამაში მე დარწმუნებული ვარ. მე ერთხელ ფოცხვერაშვილსა ვთხოვე, დაეწერა ჩემთვის პატარა მუსიკალური მოთხრობა, მაგრამ... რომ დაეწერა, ახლა ძალიან გამომადგებოდა და იმის სახელსაც გაიცნობდნენ პარიზში. მე, იმას, მესამეს, მეოთხეს—შეგვეძლო აგვეტეხა ლაპარაკი, მერე ინტერესიც ჩვენი ხელოვნების შესახებ. მაგრამ თქვენ ყველა (მე ვამბობ ქართველ საზოგადოებაზე) უმალ სამასხროდ აგიღებთ, ვიდრე დამეთანხმებით, რომ მე მართალს ვამბობ. რაცგინდ ილაპარაკოთ, მე მაინც ჩემსას არ დავიშლი და დავრჩები იმ ქართველ ქალთა-შორის, რომლებიც ცოტას მაინც შრომობენ და ჰცდილობენ გააცნონ ევროპას ჩვენი ყოფა-ცხოვრება''.

---

ეს წერილები მკაფიოდ ახასიათებს ქ-ნ. ჩერქეზიშვილის ზნეობრივ სახეს და მის მიმართულებას. ორივე—მეტად სიმპატიურია.

**რედ.**

---

*) მისი სამშობლო სოფელია გარე-კახეთში. **რედ.**

*) ე. ჩერქეზიშვილი პირველად ისადორა დუნკანის მიმდევარი იყო. **რედ.**



ი. გრიშაშვილი

მისი თხზულებათა გამოცემის გამო

# ისი, ოლოლ!

ისი, ოლოლ! თუ კვლავ წერილს მომწერ ასე
გრძელ მოთხრობად,
გენაცვალე. ზედ ქვიშა' ა
ნუ მოაყრი გასაშრობად,
თორემ რას ჰგავს?— როს შენს წერილს
მე დავკოცნი, მე, ოლოლ, მე —
იმ ქვიშასა ჩემს კბილებში
კნაწა-კნუწი გააქვს ხოლმე.



# არონ შეენც?!

ბიბლიური სურათი ერთ მოქმედებად

(დასაწყისი იხ. მე-5-ე №-ში)

II

**იგინივე და არონი**

არონ. (თავისთვის ჩუმად) ისინი არიან, ისინი. მე არ შევცდი.

სარა. ჩემო სიცოცხლევ, ჩემო რუბენ.

რუბენ. ჩემო კეთილო სარა...

არონ. (თავისთვის მუქარით) მე გაჩვენებ, რუბენ, თუ ვისიც არის სარა. ჩაგიშხამებ მაგ ნეტარ წუთებს. რაც მოგივიდეს, სარას კისერმა ზღოს. სარა! ნუ თუ ღირსი არ ვიყავი შენი სიყვარულისა? განა თქვენი დაუნდობლობა არ მაბოროტებს? მე გაჩვენებთ, თუ რა შეუძლიან სიყვარულში უარყოფილს. ამხანაგის მოღალატეც კი გამხადა. (მუქარით გადის ჩუმად)

რუბენ. რა მომხიბლავად სტვენს იადონი.

სარა. როგორ ბანს აძლევს შორიდ ბულბული... (პაუზა)

რუბენ. ამალამ არონთან ჩავიდეთ და გამოვკითხოთ ყველაფერი. როგორ არიან მეგობრები, დაწყებული საქმე...

სარა. (შემკრთალი) არონთან?!

რუბენ. ჰო, რა იყო?..

სარა. (გაუბედავათ) არაფერი... არა სჯობიან, მოშა ვნახოთ?

რუბენ. იმასაცა ვნახავთ... მაგრამ შეიძლება იმასთან ვერც-კი მივიდეთ. იმას ძალიან უთვალთვალებენ და ჩვენ რომ მივალთ, უეჭველია, შეუმჩნეველი არ დარჩებათ და... ხომ იცი?..

სარა. როგორც გინდა, რუბენ.

რუბენ. შეიძლება გამოგვყვეს კიდეცა არონი ბეთლემამდის. ნაზარეთშიც უნდა შევიაროთ. ერთად დავათვალიერებთ წმიდა ადგილებს. გენისარეთის ტბას მოვუვლით, შემდეგ გადავიდეთ იორდანეზე და ჩავიდეთ აბრამთან. მეორე დღეს მეწამულის ზღვით გავუდგეთ გზას. (ბნელდება) ოჰო, უკვე დაბნელებულა კიდეცა. ადექი, სარა, გავიდეთ აქედანა, დროა. (ადგება, აყენებს სარასაც)

სარა. წავიდეთ.

რუბენ. მშვიდობით სავანევ დევნილისა, მშვიდობით გეისიმ ნიავ! (ეთხოვება. გადაჰყურებს არე-მარეს)

სარა. (მივა სცენის სიღრმეში და დაიჩოქებს) რუვ მოლიკლიკევ! ცრემლო, ღვარად ნადენო დედათაგან ისრაელთა. შვილო მიწისავ და მისივე სიცოცხლის წყაროვ, სალამი და მშვიდობა გადაეცი ჩემ მაგიერ შენ ნაპირებზე რგულ ყვავილ-ბალახებს; ჩემი სიყრმის-დროის მეგობრებს, რომელთაგანაც ვწნავდი ხოლმე სურნელოვან გვირგვინთ ჩვენდა საკეთილდღეოდ მებრძოლთა თავის შესამკობელად. უთხარი, რომ დროებით გშორდებით, რადგანაც თქვენი მოვლა ჩემი სურვილისამებრ არავინ დამაცალა-თქო. უთხარ, კვალად გიხილავ-თქო. (ამ დროს არონი გაივლის ჩუმად სარას წინ. სარა.

შეჰკრთება) აჰ, რუბენ, მიშველე. (მივარდება რუბენთან და გულში ეკვრის)

რუბენ. რა იყო, სარა, რამ შეგაშინა?..

სარა. (აკანკალებული) არა ნახე?

რუბენ. ვინა?

სარა. აი ამ წუთას რომ გაიარა სახქაროდ.

რუბენ. ვინ იყო?

სარა. არ ვიცი, ვიღაცა კაცის აჩრდილი იყო.

რუბენ. მაშ წავიდეთ.

სარა. ჩქარა წავიდეთ. (წასვლას რომ დააპირებენ, ამ დროს შემოდიან და შეხვდებიან მიმავალთ არონი და რომაელთა მხედართმთავარი)

## III

იგინივე, **არონი და მხედართმთავარი**, შემდეგ **ჯარის კაცნი**.

მხედართ-მთავარი. (გამოჩნდება. მის უკან არონი. მკაცრად) ჰეი! ვინა ხართ აქა?! (სიჩუმე. სარა და რუბენი მაგრად ჩაეკვრიან ერთმანეთს) ვინა ხართ მეთქი! არ გესმით?! (ხმალს იძრობს და შესძახებს ჯარის კაცს) აბა, ლუციოს! ჩირაღდნები! (შემოდიან ყოველ-მხრით ჯარის-კაცნი ჩირაღდნებით ხელში. სცენა ნათდება. რუბენი და სარა აპირობენ გაპარვას, მაგრამ გზაში ჯარის-კაცთ შეხვდებიან და უკან შესდგებიან) აქ რას აკეთებთ, ვინა ხართ?

რუბენ. კეთილნი ისრაელნი.

მხედართ-მთავარი. თუ კეთილნი ხართ, მაშ ხმას რატომ არ იღებთ? კეთილნი რომ იყვნეთ ერთმანეთს არ დაუწყებდით ბეზღებას.

არონ. (მხედართმთავარს ხმა მაღლა) ეგ არის ის მოწაფე, რომლისთვისაც აქ წამოგიყვანეთ... (რუბენს პირს არიდებს)

რუბენ. (თავზარ-დაცემული შეჰკივლებს) არონ შენაც?! (მუხლს ეკვეთება და ხეს მიეყრდნობა)

მხედართ-მთავარი. მაშ შეჰპოჭეთ! (ჯარის-კაცნი შემოეხვევიან რუბენს და ხელებს უკრავენ)

სარა. (ეხვევა და ჰკივის) რუბენ, ჩემო რუბენ! (ჯარის-კაცნი არ უშვებენ ახლოს).

მხედართ-მთავარი. აბა წამოიყვანეთ! (გადის. ჯარის-კაცებს მიჰყავთ რუბენი)

რუბენ. (ტირილის კილოთი) როდის გვაკმარებენ ეს რომაელნი დევნასა?.. მშვიდობით სარა! (გაჰყავთ. გასვლისას არონს უნდობლად გადაჰხედავს. სარა გამოუდგება, მაგრამ არონი შეაჩერებს და მოხვევნას უპირებს. სარა ხელსა ჰკრავს და განზე გაუხტება).

სარა. არ მომეკარო, მოღალატევ! მგმობო ახალი ადონაისის. რა დაგიშავა რუბენმა? თუ ჯავრის ამოყრა გინდოდა, ჩემზე ვერ იყარე?

არონ. სხვაფრივ ვერ მოვახერხე. ახლა ჩემი ხარ. (დემონიურად უყურებს შორიდან გაშტერებული. სარას ღონე ელევა თანდათან)

სარა. არას დროს!

არონ. ტყუილად წინაალმდეგობ.

სარა. ოჰ! რუბენ... (გული მისდის)

არონ. აღარა გყავს!

სარა. რუბენ... (გულ-წასული დაეცემა)

არონ. მოჰკლავენ... მაშ როგორ გეგონა?! მე-კი არ ვიყავი ადამიანი? ახლა ხომ ჩემი ხარ? რამდენი ხანი გდევ და ძლივს მოვუღე ბოლო ლოდინს. ხა, ხა, ხა. ხა! (ხარხარებს. შემდეგ დაეკონება სარასა და ამ დროს ფარდა ჩამოდის)

ფ ა რ დ ა

ს. ერთაწმინდელი

# ზღვის ტალღებზე

მრისხანე ტალღა ნავს ემუქრება:
ქარის ზუზუნი მიწყლულებს გულსა;
საით მივდივარ ან რას დავეძებ
არავინ მკითხავს ბედდაკარგულსა.

—

არავინ მკითხავს... დამშვიდებული
ყველა შესცქერის ცხოვრების ტრიალს...
მინდა, რომ გული ზღვაში ჩავმარხო,
მხოლოდ ფიქრები გადავცე ნიავს...

ქნარი

# ს უ რ ა თ ი

ცის სადროშოს, სამფლობელოს,
ოქროს გული გაეყინა;
ცვრით დანამულს ლამაზ მდელოს,
ცრემლი რთვილად დაედინა...
სხივთ გვირგვინი მთათ მწვერვალებს
უცებ მოსწყდა განაცივი!..
ცრემლით ვუმზერ შენს მკვლელს თვალებს,
იფერფლება გულში სხივი!..

გ. ლეონიძე

## გალაღებული და თავხედი მსახიობ-მომღერალი

—

როგორც „რუსსკოე სლოვო“ იუწყება, ,,პეტერბურგში, 22 მარტს, სახელმწიფო საბჭოს და სათათბიროს წევრებს, რომელთაც კომიტეტი დაუარსებიათ სამხრეთ რუსეთში დაზარალებულთა დასახმარებლად, მიუმართავთ თხოვნით ცნობილ მომღერალ შალიაპინისათვის, რომ მას მონაწილეობა მიეღო 20 აპრილისათვის განზრახულ კონცერტში. ეს სათხოვნელად მასთან მისული პირები შალიაპინს არც-კი მიუღია; მათთან სალაპარაკოდ გაუგზავნია ვიღაც დვორიშინი, რომლის პირითაც მას შეუთვლია, რომ არ შემიძლია კონცერტში მონაწილეობის მიღებაო.

სახელმწიფო თეატრის სხვა მსახიობნი-კი დიდის სიამოვნებით დაჰპირებიან მონაწილეობის მიღებას“.

რამდენად გულქვა უნდა იყოს ადამიანი, რომ ასეთი საქციელი ჩაიდინოს და ასეთ საქველმოქმედო მიზნისთვის გამართულ საქმეს ზურგი შეაქციოს, მეტადრე მაშინ, როდესაც იმ დაზარალებულთა და გაუბედურებულთა რიცხვი ასე დიდია... მით უფრო მაშინ, როდესაც კაცი მდაბიო ხალხის წრიდან არის გამოსული, და უფრო ადვილად წარმოიდგენს უბედურების სიმწვავეს, მაგრამ სამწუხაროდ, ზოგიერთ თავგასულ ადამიანს ბედი რომ გაუღიმებს, მას ყოველივე დაავიწყდება და სწორედ შალიაპინიც ამგვართაგანს ეკუთვნის და ასეთ სამწუხარო მაგალითს წარმოადგენს. იგი ყოველთვის ცნობილია, როგორც ფულის ხარბი და ჯიხვიათო ადამიანი. მის მოსასმენად ყოველთვის მეტად დიდი ფასი არის ხოლმე დანიშნული და ხელმოკლე ხალხისათვის ხელმისაწვდომ ფასებში იგი არასოდეს არა თუ წარმოდგენას, უბრალო კონცერტსაც არ მართავს ხოლმე.

ამას წინად ინგლისში რუსეთიდან წასულ დასთანაც შალიაპინს დიდი უსიამოვნება მოუვიდა და საქმე იმით დაბოლოვდა, რომ მსახიობებმა სცემეს მას წარმოდგენის დროს კულისებში და როდესაც ის წარმოდგენის შეწყვეტას ემუქრებოდა, მსახიობებმა უთხრეს: ახლავე ვაცნობებთ თეატრში მოსულ ინგლისელებს თქვენს საქციელს, რამაც გამოიწვია ეს ჩხუბიო, და რადგანაც დამნაშავე თვით შალიაპინი იყო, მას შეეშინდა ინგლისის საზოგადოების მსჯავრის და დასთანხმდა განეგრძო წარმოდგენა.

რუსეთშიაც რომ არსებობდეს საზოგადოების აზრი, კარგი იქნებოდა ასეთი საქციელისათვის მისთვის ეგრძნობინებიათ სამაგიერო. მაგრამ გულქვა და შემთხვევით გალაღებული, თავ-გასული მომღერალი დამშვიდებულია: მან იცის, რომ რუსეთის საზოგადოება ხელახლად მოისმენს მის სიმღერას და ისევ აღტაცების ტაშით და ვაშათი შეეგებება, რაც უნდა სამარცხვინო საქციელიც ჩაიდინოს...

სამწუხაროა, როდესაც ასეთს სიტლანქესა და ველურობას იჩენს ნაზ ხელოვნებასთან დაახლოვებული ადამიანი!..

ზოგიერთ ქვეყნებში მუსიკით სპილოებს ამშვიდებენ, მრისხანე მხეცთ და გველებსაც-კი აწყნარებენ, მაგრამ ზოგიერთი ადამიანი-კი, ზემოხსენებულ ცხოველებთან შედარებით, უფრო ტლანქი, ვერაგი და უგრძნობელი ყოფილა! თუ ეს მართალია, მაშინ ცნობილი მომღერალი შალიაპინი ამ მხრითაც იშვიათი და სახელოვანი ყოფილა!...

**მეთვალყურე**

# ქართველ მწერალთა წერილები

(მოგონებანი)

## III

### გიორგი წერეთელი

(ამ წერილების დასაწყისი იხ. ,,თეატრი და ცხოვრების'' გასულ კვირის (5) №-ში)

მე წერილები ვეღარ მივაწოდე გიორგის ,,კვალისათვის'', ძალიან მოულოდნელად დავრჩი ახალი სამსახურისა გამო. ბოდიშის წერილი მივწერე გიორგის. პასუხად მიიღვნა შემდეგი წერილი:

ძმაო სოფრომ, დიდათ ბოდიშს ვიხდი, რომ შენ წერილზე თავის დროს პასუხი ვერ გაგეცი; მაგრამ აი, საქმე როგორ იყო? როცა შენი წერილი მივიღეთ რედაქციაში, მე აქ არ ვიყავი, ექსკურსიაზე ვიყავი წასული და ამისათვის მივიწყებული იყო. ახლა როცა ამ წლის ბოლოს რედაქციის მიწერ-მოწერას ვათვალიერებდით, რომ რედაქციის ქაღალდები წესიერებაში მოგვეყვანა, წარმოიდგინე შენი წერილიც აღმოჩნდა და პასუხიც ზიარელ კორრესპონდენტისა. ძალიან შევწუხდი, მაგრამ რას იზამ. აქამდის გულს მაკლდა, რომ შენ აღარაფერი ამბავი მოაწვდინე ,,კვალს'', ახლა კი თავი უნდა დავხარო შენ წინაშე და თუ მემდური, მემართლები კიდეცა, ხმის ამოღების უფლება აღარა მაქვს. თუ მოიბრუნებ ჩვენზე გულს, ხომ კარგი, თუ არა და დაგვსაჯე. და კიდევაც გვემართლები. ძმაო სოფრომ, წარმოიდგინე, შარშან ვინც შენი მეოხებით ,,კვალი'' გამოიწერა დღემდი-

საც ფული არ შემოუტანია. იქნება როგორმე მოაგონო იმათ. ხომ იცი რედაქცია და მისი ამბავი. შენ ძმობას გეფიცები აქამდის ჯერ-ჯერობით ტასოს ჯიბიდან გასულა საკუთარი მისი ფული **ორას ორმოცდა ათი თუმანი**; აწ, რა იქნება, ღმერთმა უწყის. უეჭველია, შენ, როგორც გულშემატკივარი ჩვენი მწიგნობრობისა და ჟურნალ-გაზეთებისა, გულგრილად არ შეხედავ ამ საქმესა, იმედია, კიდეც მოგვეშველები და შენი ლამაზი კალმით ერთ საახალწლო სურათსაც უძღვნი „კვალსა" და შენს კეთილ გავლენასაც არ მოაკლებ ჩვენს გაზეთს და ხელის მომწერლებსაც წააქეზებ.

ტასომ დიდის სიყვარულით მოგიკითხათ და ძალიან ბოდიშს იხდის, რომ ის შენ წინაშე დანაშაულია.

ველი შენგან მალე ამბავს.

შენი გულითადი პატივისმცემლი და თანამგრძნობი

**გიორგი წერეთელი.**

11 დეკემბერი 1894 წ.

თბილისი.

გიორგი ძალიან ფხიზელი, მოძრავი და ფრიად ენერგიული ბუნების კაცი იყო. ხშირად დაიარებოდა ახლად შემოერთებულ საქართველოს პროვინციებში: ქობულეთში, აჭარაში, შავშეთში და სხვ. პირველად გიორგი გაეცნო მაჰმადიან ქართველობას, მან პირველად შეიტანა მაჰმადიან ქართველობაში შეგნება იმისი, რომ ერთი ეროვნებისანი არიან იგინი დანარჩენ ქართველებთან, ელაპარაკებოდა ძმობასა და ერთობაზე. მაჰმადიან ქართველების შესახებ ელაპარაკებოდა ხშირად გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსს გრიგოლსაც, სთხოვდა, როცა შემთხვევა ექნებოდა გაეცნობოდა მაჰმადიან ქართველებს, ეამბნა მათთვის, თუ ვინ იყვნენ ისინი ძველად, რა როლს თამაშობდა მათი მხარე ძველს საქართველოში. ჩემს დროს ორჯერ იყო გიორგი ამ მისიით გრიგოლ ეპისკოპოსთან. ამას გარდა ხანგძლივი ლაპარაკი ჰქონდა მეგრულ ლოცვების შესახებ. გარუსების პოლიტიკა გაძლიერებული იყო იმ დროს, სურდათ დედის მკერდიდან მოეგლიჯათ მეგრელები, შეუდგინეს ლოცვები მეგრულს ენაზე. დამახინჯდა აზრი ლოცვებისა, ხალხმა თვით იუარა ეს ლოცვები. ეპისკოპოსი გრიგოლი სულითა და გულით წინააღმდეგი იყო ამ ლოცვებისა და დაუფარავი მომხრე ქართულის სწავლებისა სამეგრელოს სკოლებში. ეს მან ოფიციალურად განუცხადა მთავრობასა. ორთავე თხოვნა შეუსრულა გიორგის გრიგოლ ეპისკოპოსმა.

გრიგოლი ძალიან ნიჭიერი და მჭევრმეტყველი მოლაპარაკე იყო. ხშირად ვყოფილვარ მოწმე მისი ლაპარაკისა ქართველ მაჰმადიანებთან, რომელთაც უხსნიდა, თუ ვინ არიან ისინი, ვინ იყვნენ მათი წინაპარნი, რა ღვაწლი მიუძღვით მათ თვისი სამშობლოს წინაშე. ერთხელ ისე აღელვა ქობულეთში მაჰმადიანი ქართველები მისმა ბაასმა დავით აღმაშენებელზე და თამარ მეფეზე, რომ ქართველი ბეგები წამოცვივდნენ ფეხზე, აიტაცეს ეპისკოპოსი და აქანავეს. წამოსვლისას მითხრა გრიგოლ ეპისკოპოსმა: ნეტა ერთი ენახა ეს ამბავი იმ ბრუციან კაცსა გიორგისათ (გიორგი სათვალეს ატარებდა და ეპისკოპოსი ხუმრობით ბრუციანს ეძახდა).

ჯერ აქნობამდე ეს დაუღალავი და გულწრფელი მოღვაწე ხეირიანად არ არის დაფასებული ჩვენი კრიტიკისაგან, არც არავინა კისრულობს მისი თხზულებების ტომებად გამოცემასა. სამწუხაროა ასეთი გულცივობა გიორგისადმი. ამ ჟამად ჩვენი ხალხი მასსა, ძალიან ეტანება წიგნებსა, არა თუ ეტანება, ეწაფება მას. კარგი იქნება რომელიმე გამომცემელი იკისრებდეს გიორგის ნაწერების სრულს გამოცემასა.

გიორგი წერეთლის წინასწარმეტყველება ჩემი სურათების გამო („ედღიური ბიძია თომასი"), რომ „ყველაზე უფრო სამწუხარო ის არის, რომ ამ ძველ კაცებზე უფრო კიდევ ახალგაზდები წყრებიან. ჩვენი ინტელიგენცია!... ღმერთო ჩემო, რანაირად დაუცენ. ლამის ჟანდარმები არ მოიწვიონ, როცა მათ სტატია რამე არ მოეწონებათ", ეს წინასწარმეტყველება გამართლდა. მთელი ქართლის თავად-აზნაურობა ამიყაყანდა დაწყებული „ძველი კაცებიდან" უკანასკნელ ინტელიგენტამდე. განსაკუთრებით ანტონ ფურცელაძე, რომელსაც ჩემთან რაღაც ფარული უსიამოვნობა ჰქონდა (ამაზე თავის დროზე ვრცლად ვიტყვი, როცა ილია ჭავჭავაძესთან მიწერ-მოწერას დავბეჭდავ). თუმცა „დღიური ბიძია თომასი"-ს ფსევდონიმით ვწერდი, მაგრამ იცნობდნენ კილოს ჩემი ნაწერისასა, დამიწყეს საშინელი დევნა და კიცხვა. ინტერესს მოკლებული არ არის ერთი წერილი, რომელშიაც აწერილია, რა აურზაური მოახდინა ჩემ შესახებ თავად-აზნაურობამ იმ ჩემის ნაწერის გამო, რომელზედაც გიორგი წერეთლის წერილშია მოხსენებული. ამიტომ ამ წერილსაც, როგორც დამახასიათებელს ოთხმოცდაათიან წლების ქართველ თავად-აზნაურობისა და მისი ინტელიგენციისა, ვათავსებ აქვე.

ჟურნალისტმა კოტე ხერხეულიძემ მომწერა გორიდან აპრილის 11 1894 წ. შემდეგი:

„მოგითხრობ ახალ ამბებს შესახებ გორის მაზრის თავად-აზნაურთ ყრილობისა 10 ამ აპრილს. შეიყარნენ ბლომად, როგორც გორიდან და სოფლებიდან, აგრეთვე თბილისიდან. თბილისიდან იყვნენ: აკაკი, მაჩაბელი,

ორი ყიფიანი, დიასამიძეები, ჟურულის შვილი, კორრესპონდენტები „კავკაზისა", ,,ობოზრენიისა'', ,,ივერიისა'' და სხვა გაზეთებისა, ასე რომ წრეულს კრებამ სულ სხვა მიმართულება მიიღო. გაგიკვირდება, რისთვის გწერ მე ამეებსა და რა მიზეზით გატყობინებ შენ ამას. ცოტა მოიცადე და გაიგებ. რასაკვირველ ია საზოგადოება ორ წილად გაიყო. ერთს წილს ეკუთვნოდნენ: ანტონ ფურცელაძე, სარდიონ ამირაჯიბი, რევაზ ერისთავი, მიშა ერისთავი, ივანე ესტატეს-ძე ერისთავი, შაქრო ელიზბარის-ძე ერისთავი, გიორგი ჟურული, კოლა ერისთავი, ქაიხოსრო ავალიშვილი, გიგა ბეგთაბეგოვი და რამდენიმე სხვანი. მეორე წრეს, რასაკვირველია, მომეტებულება. ხალხი ასზედ მეტი იყო, რადგანაც უქმე დღე იყო, და გორის ინტელიგენციაც სულ იყო. კრება დაიწყო იმითი, რომ დაიწყეს სიების კითხვა: თუ ვისა აქვს ნება მარშლების არჩევნებზედ მონაწილეობის მიღებისა. წაკითხვის დროს პირველი წრე თავს იქნევდა და ამბობდა: ,,нѣтъ сомнѣнія имѣетъ цензъ''. რიგი მიდგა შენზედ და ამოიკითხეს: ,,Софронъ Мгалоблишвили имѣетъ чинъ и 300 дес. земли, какъ видно изъ свидѣтельства Мироваго Посредника II отдѣла Циціанова''. გაიგონეს შენი გვარი რევაზმა და მიშა ერისთავმა, წამოხტნენ გაწითლებულნი და გაცეცხლებულნი ფეხზე. რევაზმა დაიყვირა: ,,позвольте свидѣтельство о Мгалоблишвили. სულხანოვმა*) გამოარჩევინა მოწმობა და მიაწოდა; მოწმობის წაკითხვა და გაცეცხლება გიჟივით ერთი იყო და თანაც დაატანა: ,,такого свидѣтельства принять нельзя, такъ какъ ложь!!'' სულხანოვმა გამოაცხადა, რომ შენ წინანდელ არჩევნებში მონაწილეობა მიგიღია საბუთიანად და ეხლაც უნდა მიიღო იმიტომ, რომ შენი მოწმობა თვალწინ გვაქსო. თუ ამ მოწმობას არ დაუჯერებთო, ახლა სხვანი თქვენ მოწმობას (რევაზის) არ დაუჯერებენო და მაშინ სუყველა მოწმობა უნდა გაუქმებულ იქმნესო. მიშა ერისთავი წამოხტა და შეჰყვირა: откуда, скажите, пожалуйста, подсунули Софрома Мгалоблишвили, когда онъ ни черта не имѣетъ!!. მაკვირვებს ქცევა ამ ვაჟბატონებისა, რომლების ქცევაც ბავშვებსაც არ შეჰფერით. მერე სადაზიმ საზოგადოებაში, საცა ყოველ მხრიდან ასს სულზედ მეტია შეკრებილი. ის გამოვიდა ბოლოს, რომ რაკი შენი გვარი იყო ჩაწერილი და არ ვინდომეთ შენი წაშლა, ჩვენ აგვიყაყანეს ხალხი და დასამტკიცებლად სიებზედ ხელი აღარ მოაწერეს, რადგან სოფრომი სწერიაო. რა უნდა ექნა სულხანოვს? მერე სთქვა: ვისაცა გსურთ, ხელი მოაწერეთო, და ამას შემდეგ დაიწყეს ხელის მოწერა და მოაწერეს ყველამ, გარდა იმ ხალხისა, რომლებიც ჩამოვთვალე პირველს წრეში. უნდა გენახა მდგომარეობა რევაზისა და მიშასი, როცა სულხანოვმა უთხრა: ,,Вашей подписи не нужно и безъ Васъ обойдемся''. ამას შემდეგ დაიწყეს საგნებზედ ლაპარაკი და რო მოგწერო ყველა ეს, ძრიელ გაგძელდება. ასე რომ შენმა **,,ბიძია თომას დლიურმა''** ასეთი აყალ-მაყალი გამოიწვია. არჩევნები ბანკისა იწყობა 12 მაისსა. აკაკი დღეს წავიდა".

*)სულხანიშვილი მაშინდელი გორის მაზრის თავად აზნაურთა წინამძღოლი იყო **ავტ.**

აი როგორ სდევნიდნენ ძველად მწერლებს და ჟურნალ-გაზეთებს მაშინდელი თავად-აზნაურნი და ზოგიერთი ინტელიგენტნი, რომელნიც ჩამოთვლილნი არიან ბ. კ. ხერხეულიძის წერილში.

როცა გიორგი წერეთელი იმავე წელში ფოთში ვნახე, ვუჩვენე ეს წერილი და ვუთხარ, შენი ნაწინასწარმეტყველევი ინტელიგენციაზე ასრულდა მეთქი. მიამბო გიორგიმ, რა დღე დაეყენებინათ მისთვის ქართლელ თავად-აზნაურებს იმ სურათების გამო. ბევრმა თურმე უკან დაუბრუნა ,,კვალი'', მაგრამ მაგიერში იმერეთმა მოგვცა მხარი, განსაკუთრებით გურიამ, სადაც ბლომად გაიწერეს ,,კვალი".

დიალ! ბევრი მწარე დრო ნახა გიორგიმ თვის სიცოცხლეში, მაგრამ მაინც მედგრად იბრძოდა და ამ ბრძოლაში ჰოულობდა სიტკბოებას. იგი წმიდად იცავდა დავით გურამიშვილის ანდერძს:

,,ჯერ მწარე ჭამე, კვლავ ტკბილი, თუ ქებ გემოვნებას".

## წვრილი ამბები

◆ **კოოპერატიული პიესა** „სოფლის მასწავლებელი" გადმოთარგმნა გაზ. „კოოპერაციის" რედაქტორმა იასონ გაბილაიამ. პიესაში გამოხატულია მასწავლებლისა და მოწინავე ელემენტებისაგან მიღებული ზომებით ბნელი ძალებისაგან დაგებულ დაბრკოლებათა გადალახვა და კოოპერაციის სამაგალითო გამარჯვება. ამ პიესის დადგმა განუზრახავს ფოთის მიმხმარებელ საზ. „ეკონომიის" თეატრალურ სექციას. („კოპ.")

◆ **დესპინე ივანიძის სასარგებლოდ,** ამასთანავე გიგზავნით ჩვენს მაღაზიაში (ქალ. სოხუმი) ჩემ ამხანაგთა შორის შეგროვილ 5 მ. 50 კ. ავადმყოფ მსახიობ ქალის დესპინე ივანიძის სასარგებლოთ, გთხოვთ გადასცეთ და შემომწირველთა სია გამოაცხადოთ თქვენს პატივცემულ ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება"-ში. ვუსურვებთ ნიჭიერ მუშაკს მორჩენას. შემომწირველნი: თითო მანათი: ლიზა კაჭარავამ, გრიგოლ ცეკვავამ, ისააკ ჟვანიამ, ალექსან. ცეკვავამ, ათათი შაური: ტრიფონ კაჭარავამ, მიხა ქორქოლიანმა. ივანე დანელიამ.

ელიზბარ კაჭარავას ნოქარი **ისაკო.**

ეს 5 მ და 50 კ. გაეგზავნა ქუთაისის დრამ. საზ. გამ. წევრს ბ. ივ. პურადაშვილს დანიშნულებისამებრ გადასაცემად. **რედ.**

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

## ყოველკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო, სათეატრო და საზოგადოებრივი შინაარსის სურათებიანი ჟურნალი




**იუმორისტული განყოფილებით და კარიკატურებით.**

ჟურნალში დაიბეჭდება წერილები თეატრის, მწერლობის, მუსიკის, მხატვრობა-ხელოვნებისა და საზოგადოებრივ ცხოვრების შესახებ, კრიტიკული განხილვანი, დახასიათებანი, ისტორიულ-ბიოგრაფიული ცნობანი, მოთხრობანი, ლექსნი, იუმორისტული ამბავნი, სამეცნიერო მიმოხილვანი, სურათები, ნახატები, კარიკატურები და სხ.

**ყოველს ნომერში დაიბეჭდება სარეპერტუარო პიესა, ორიგინალური ანუ ნათარგმნი.**

ჟურნალს საგანგებო თანამშრომელ კორესპონდენტები ჰყავს რუსეთსა და საზღვარგარედ. ჟურნალში ითანამშრომლებენ ცნობილი მწიგნობარნი, მუსიკოსნი, დრამატურგნი, მგოსანნი და მხატვარ-ხელოვანნი.

**ჟურნალის ფასი:** წლიურად—5 მ, (წლის დამლევამდე—4 მ.). ნახევარი წლით—3 მ.. თითო—10 კ. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: ხელმოწერის დროს 1 მ., დანარჩენიც ორ ნაწილად.

**ხელისმოწერა მიიღება:** ქართ. დრამატ. საზოგადოების კანტორაში და იოსებ იმედაშვილთან („სორაპანის" სტამბაში) დილით 10—2 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე.

წერილები და მასალები უნდა გამოიგზავნოს იოსებ იმედაშვილის სახელზე—Тифлисъ, ред. жур. „**Театри да Цховреба**" Іосифу Имедашвили.

ჟურნალში დასაბეჭდი განცხადებანიც მიიღება იქვე. ტელეფონი № 15-41

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

## ფიქრი

**საორშაბათო სრულ პროგრამიანი ყოველკვირეული სალ. და საპოლ. გაზეთი.**

**მიიღება ხელის მოწერა:** წლით—2 მ., ნახევარ წლით—1 მ., თვით 20 კ., თითო №—5 კ. საზღვარ გარედ—ორჯერ მეტი.

მისამართი: Тифлисъ, Баронская ул., Типогр. „Надежда" для „**Пикри**"—Константину Лукичу Копалейшвили.

პირადად მოლაპარაკება შეიძლება დილით 11 12 ს., საღამოს 5—6 ს.

**გამოდის ქუთაისში 3 მარტიდან ორშაბათობით**

## შრომა

**სალიტერატურო-საპოლიტიკო და ეკონომიური გაზეთი.**

რედაქცია: გიმნაზიის ქ., პ. ფერაძის და ნ. კარნაუხოვის სტამბის სადგომში.

**გაზეთის ფასი:** წლით—2 მ. 50 კ.. ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., თვით—25 კ., ცალკე ნომერი 5 კ. საზღვარ გარედ ორჯერ მეტი.

ფული და წერილები მიიღება: Кутаисъ, ред, еженед. груз. газеты „**Шрома**".

**მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისთ.**

წელიწადი მეოთხე

## თემი

წელიწადი მეოთხე

**საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**

**გამოდის ორშაბათობით**

წლიურნი ხელის მომწერელნი მიიღებენ 2 საჩუქარს: 1) წიგნს, სადაც მოთავსებული იქნება **ა კ ა კ ი ს** პოემა „**რაჭა-ლეჩხუმი**", რაჭა-ლეჩხუმში მისი მოგზაურობის ამბავი წარმოთქმული სიტყვები და ამ კუთხის რუკა; 2) **ნ. ა. დუბროვსკის** თხზულებას „**ავგუსტ ბებელი**", რომელიც საკუთრად „თემი"-სთვის არის დაწერილი.

ხელისმოწერა მიიღება „თემი"-ს რედაქციაში (ოლგას ქ , სახ. დიასამიძისა, № 4).

**ფასი გაზეთისა:** წლიურად—2 მ. 50 კ., ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., ერთი თვით—25 კ. კონტორა ღიაა ყოველდღე დილის 10 საათიდან 1 საათამდე.

მისამართის გამოცვლა თბილისს გარეშე 40 კ.

მისამართი: Тифлисъ, Ольгинская № 4, д. Діасамидзе, редакція газ. „**Теми**".

რედ.-გამომცემელი **გრ. დიასამიძე**


სტამბა „**გერმესი**", გრაფის ქუჩა № 6. Тифлисъ, тип. „**Гермесъ**"